პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 289 (12801)

პარასკევი, 13 დეკემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1963 წლის 12 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. მ. კაბუნი (ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), რ. ნ. სიდაკი (ლგოვის საცდელ-სასელექციო სადგურის დირექტორი, კურსკის ოლქი), ვ. ა. ივანოვი (ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ა. ი. პელშე (ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ნ. ნ. სემიონოვი (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ნ. ა. ბაიბაკოვი (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე).

პლენუმმა აირჩია კომისია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტის მოსამზადებლად.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ი. ხნეჩაუსი (ლატვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ვ. გრაჩოვი (კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ვ. ე. დიმშიცი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

რუსთაველ ქიმიკოსთა და მშენებელთა დიდი გამარჯვება

კარგი საჩუქარი სამშობლოს

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის სამშენებლო ტრესტის, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამონტაჟო და სპეციალიზებული ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საპროექტო ინსტიტუტებისა და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებსა და ქიმიკოსებს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — კაპროლაქტამის — სინთეზური ბოჭკოების, კორდისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონლის მისაღები ძვირფასი ნედლეულის წარმოების საამქროთა კომპლექსის ამუშავებას, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავებას.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში ქიმიური ინდუსტრიის ახალ წარმოებათა ამუშავება მშენებელთა, მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა დიდი წვლილია ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვის შექმნის საქმეში. ეს შრომითი გამარჯვება კარგი საჩუქარია სამშობლოსათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ თქვენ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებთ ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

შესანიშნავი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნავენ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მოწინავე ადამიანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებს. სურათზე: ამიაკის გვარჯილის საამქროს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოთა ბიუროს ხელმძღვანელი ზ. გურასპაშვილი (მარჯვნივ) დავალებას აძლევს მეაპარატეებს ს. გრიგორიანსა და ტ. ბუცაშვილს.

ფოტო ე. ღოლობერიძისა.

მოკლე ვადაში ავითვისებთ საპროექტო სიმძლავრეს

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს მოახსენეს, რომ მშენებლობა დამთავრდა და მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის მსხვილი წარმოება, აგრეთვე აზოტოვანი სასუქების გამომუშავების ახალი სიმძლავრენი.

კაპროლაქტამის გამოშვების ახალ სიმძლავრეთა ათვისება საშუალებას მოგვცემს უახლოეს ხანებში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ჩვენს ქვეყანაში ამ ძვირფასი ქიმიური პროდუქტის წარმოება, ხოლო დამატებითი რაოდენობით მაღალხარისხოვანი აზოტოვანი სასუქების მიღება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა შეასრულეს დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები, მნიშვნელოვანი რაოდენობით დაამონტაჟეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და რამდენიმე ათასი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშრომელები სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პირობას აძლევენ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უმოკლეს ვადებში აითვისონ საპროექტო სიმძლავრენი.

რუსთავის ქიმიკოსებო და მშენებლებო!

გმირული შრომით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითად მოლოცვას!

ნოვატორთა წვლილი

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს 1963 წლის მესამე კვარტალში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები.

გამარჯვებულად ცნეს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის „აღორეგისის“ მაღაროთსამმართველოსა და ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივები. მათ მიეკუთვნათ აგრეთვე ფულადი პრემიები.

პირველი ფულადი პრემიები მიიღეს: გორის ბამბეულის კომბინატის საბეჭდი საამქროს უფროსმა და საგრავიორო საამქროს უფროსმა ი. იარდალაშვილმა და ლ. გრიბოვმა, სოხუმის ხორცკომბინატის მთავარმა ინჟინერმა კ. შევკუნოვმა, „საქქვანახშირმადანძიების“ ტრესტის თბილისის ჰიდროლოგიური პარტიის ინჟინერ-გეოლოგმა შ. ჩუბინიძემ, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის მთავარმა ენერგეტიკოსმა ლ. ფხაკაძემ, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგებმა დ. ჭელიძემ და შ. მამალაძემ.

მეორე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ: რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამიაკის კონვერსიის საამქროს ტექნოლოგს ა. კალანდაძეს, ბორჯომის შუშის ქარხნის მთავარ მექანიკოსს ნ. ტიგიშვილს, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ინჟინერს ვ. ბუტუევს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს უფროსის მოადგილეს და მექანიკური საამქროს ბრიგადირებს გ. მურჯიკნელს, ვ. კურაკინსა და გ. აშჩიანს, თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომების ტექნიკური განყოფილების კონსტრუქტორს მ. ვაჩნაძეს, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ განყოფილების გამგეს ს. გვერდწითელს, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმაშენებელი ქარხნის უფროს ტექნოლოგსა და უფროს კონსტრუქტორს რ. ოგანეზოვს, მ. ჭანტურიას და სხვებს.

მესამე ფულადი პრემიები დაიმსახურეს: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს ელექტროშემდუღებელმა ა. მეძარნიშვილმა, თბილისის №1 თამბაქოს ფაბრიკის ჰაპიროსის საამქროს ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ტ. თავაძემ, ბათუმის № 5 საქკერვალო ფაბრიკის კონსტრუქტორ-ლაბორანტმა და ფაბრიკის მუშაკმა ა. შირიაევმა და რ. მაჩაიძემ, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის მუშაკებმა ა. ხუციშვილმა და გ. გიგოლაშვილმა, ავჭალის შუშის ქარხნის კაზმის დასამზადებელი საამქროს უფროსმა ვ. ეძგვერაძემ, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის სართავი საამქროს უფროსმა და შემკეთებელმა ო. კუბლაშვილმა, ვ. ზაზაშვილმა და სხვებმა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ თავიანთ დადგენილებაში აღნიშნეს, რომ ყველა დარგობრივი სამმართველო და ტრესტი ჯეროვან უურადღებას რიდი უთმობს შეჯიბრების გაშლას, ხოლო ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, საქკონსერვტრესტს, სამტრესტს, საქპურკონდიტერს, მხატვრული და საგალანტერეო ნაწარმის ტრესტს, ახალციხის მაღაროთსამმართველოს 1963 წლის მანძილზე მონაწილეობა არ მიუღიათ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

(საქდესი).

ისტორიული ოცი წლისთავი

მოსკოვი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ კრემლის თეატრში, რათა საზეიმოდ აღნიშნონ ღირშესანიშნავი თარიღი — საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავი.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

მოხსენება — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების 20 წლისთავი გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა.

დამსწრენი განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ი. გენდრიხს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ბიუროს

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საბჭოს საწარმოების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალებზე.

ზრუნვა ადამიანებზე

**ბ. ბ. ბ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

11 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოხაწილენი განგრძობდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების — „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“ — განხილვას.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **მ. ვ. კელდიში.** პარტიის პროგრამაში, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქიმიას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ქიმიური საშუალებების გამოყენება სოფლის მეურნეობაში ძირეულად შეცვლის მის იერსა და პროდუქტიულობას. ახალი ქიმიური მასალები საშუალებას გვაძლევენ იაფი გზით ვაწარმოოთ უდიდესი ასორტიმენტის ფართო მოხმარების მაღალხარისხოვანი საგნები, კერძოდ, ტანსაცმელი, საოჯახო დანიშნულების საგნები. ახალი მასალები იმის საშუალებას მოგვცემენ, რომ გავაუმჯობესოთ და გავაიაფოთ მანქანათმშენებლობა და მშენებლობა. არსებითი პროგრესი წარმოების ისეთ განმსაზღვრელ დარგებში, როგორიც არის რადიოელექტრონიკა, ენერგეტიკა, დიდმწარმოებლური მანქანები, შეუძლებელია ახალი მასალების გამოუყენებლად, რომლებსაც სპეციფიური თვისებები აქვთ, და რომელთა მიღება შეიძლება მხოლოდ ორმაგი ფიზიკურ-ქიმიური კვლევის საფუძველზე.

ქიმიის მეცნიერებამ უკვე ბევრი რამ მისცა პრაქტიკას. მეცნიერების მიღწევები გამოიწვევენ სწრაფ პროგრესს სახალხო მეურნეობაში.

ქიმიის მეცნიერების განვითარებაზე, განაგრძობს ამხ. კელდიში, უდიდესი გავლენა მოახდინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებმა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და მრეწველობაში წარმატებით ვითარდება კვლევა პოლიმერების დარგში, რამაც მთელი რიგი არსებითი შედეგები მოიტანა. შემუშავებულია ნავთობის ქარხნის გაზებისაგან კრისტალური პოლიპროპილენის — ტექნიკური და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო შესანიშნავი მასალის მიღების პროცესი. პოლიპროპილენიდან იღებენ ადრეული სინთეზური ბოჭკოს. შემუშავებულია კაუჩუკის სტერეოსპეციფიური სინთეზის მეთოდები, რომელსაც ბუნებრივი კაუჩუკის ანალოგიური აღნაგობა აქვს. მიღებულია სილიციუმ-ორგანული პოლიმერები, რომელთა საფუძველზე შექმნილ მასალებს კარგი თბოსაიზოლაციო, ელექტროსაიზოლაციო და ანტიკოროზიული თვისებები აქვთ. ამ ახალმა მასალებმა საშუალება მოგვცეს მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა, მაგალითად, ელექტromotორის წონა. შექმნილია დაფარვა სილიკატურ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი ლითონისაგან დამზადებული ნაკეთობის მუშაობის ნაგრძლივობას 1000 გრადუს ტემპერატურაზე. მოხერხდა ელემენტურ-ორგანული პოლიმერების მიღება, რომლებიც ჯავშნი შეიცავენ ლითონებისა და სხვა ელემენტების ატომებს. ეს პოლიმერული მასალების თვისებათა მოდიფიცირების ფართო პერსპექტივებს სახავს. მუშავდება პოლითერმოძალდეპიდის — მაღალი კონსტრუქციული თვისების მასალის მიღების პროცესი, ეწყობა ახალი საბჭოური პოლიმერების პოლიარილატების საცდელი წარმოება, რომელთა საფუძველზე შეიძლება პლასტიკატების, ბოჭკოსა და ფენოპლასტების დამზადება. მათ ახასიათებთ მაღალი თბომედეგობა.

მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვაში, ქიმიის შემდგომი წარმატებითი გამოყენებისათვის, განაგრძობს აკადემიკოსი, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გაძლიერდეს იმ პროცესების ფიზიკურ-ქიმიური შესწავლა, რომლებიც ორგანიზმში ხდება. ეს ძალიან დიდ ამოცანებს დაუსახავს ბიოლოგიასა და ქიმიას.

ყველაზე დიდი მეცნიერული პრობლემა ცილის პრობლემაა, მისი სტრუქტურის შესწავლა, ქიმიური სინთეზი, ბიოსინთეზია. უკანასკნელ წლებში მეცნიერებაში მოხდა დიდი ძვრები ცილის, ამ ურთულესი ბიოპოლიმერის, გამოკვლევაში. მთლიანად ამოხსნილია ზოგიერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი ცილის. აღნაგობა, როგორიც არის სისხლის ჰემოგლობინი და კუნთების მიოგლობინი. შორს აღარ არის ის დრო, როცა განხორციელდება მარტივი ცილების სინთეზი.

მეტად დიდმნიშვნელოვანია სხვა ბიოლოგიური პოლიმერების — ნუკლეინის მჟავეების შესწავლა, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებენ ჟანრეფების ბიოქიმიური პროცესების მოწესრიგებაში, მემკვიდრეობითობის მოვლენებში. სოფლის მეურნეობისა და მედიცინისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაძლიერდეს სხვა ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კვლევაც, კერძოდ, ფერმენტული და ჰორმონალური პრეპარატების სინთეზის კვლევა.

უნდა ვთქვა, განაგრძობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომ ქიმიკოსები ძალიან მრავალსტადიურად აკეთებენ თავიანთი დანადგარების მასშტაბებს, როცა სამრეწველო ტექნოლოგიაზე გადადიან. ამ საქმეში მათ უნდა მიბაძონ ფიზიკოსების მაგალითს, რომლებიც რეაქტორების უფრო რთულ ტექნოლოგიას სწრაფად ითვისებდნენ. რის მეოხებით შეძლეს რთული პროცესების ათვისება რეაქტორში ნატურალური მასშტაბით? იმის მეოხებით, რომ გამოიყენეს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, შეისწავლეს ფიზიკის ამოსავალი კანონზომიერებანი, ის მოვლენები, რომლებიც რეაქტორში ხდება და შემდეგ დეტალურად ანგარიშობდნენ ელექტრონულ მანქანებზე. ასეთ მიდგომას ქიმიურ ტექნოლოგიაში შეუძლია გამოიწვიოს ძალიან დიდი ჭრა წარმოებაში მეცნიერების დაჩქარებული დანერგვისათვის. უფრო რთული პროცესებიც კი, ვიდრე რეაქტორია, ფიზიკოსებმა საკმაოდ კარგად გამოიანგარიშეს.

მ. ვ. კელდიში შემდეგ შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ახალი ტექნიკისათვის. ისეთი დარგებისათვის, როგორიც არის ენერგეტიკა (ბრთვული ენერგეტიკის ჩათვლით), რაკეტული ტექნიკა, ქიმიური ტექნოლოგია, ამბობს იგი, საჭიროა ახალი მხურვალმტკიცე მასალები. თუ ასეთი მასალები არ გვექნება შეუძლებელია, მაგალითად, თბოენერგია ელექტროენერგიად გარდაქმნის ძალიან პერსპექტიული მაგნიტურ ჰიდროდინამიკური მეთოდის რეალიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს 2.000-3.000 გრადუსის ტემპერატურიანი მოძრავი პლაზმის გამოყენება, რაც სათბობის წვის დროს წარმოიქმნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხურვალმტკიცე მასალების პრობლემას მაღალი ტემპერატურის ენერგეტიკული ატომური რეაქტორებისთვის, აგრეთვე ატომური და ელექტრული რაკეტული სისტემებისათვის.

რადიოელექტრონიკის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, აგრეთვე ხალასი ნივთიერებების მიღების პროცესების კვლევის გაძლიერება. ნახევარგამტარებში, რასაც რადიოელექტრონიკის ხელსაწყოებში იყენებენ, მინარევების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ მილიონ პროცენტს; ეს იმას ნიშნავს, რომ ხალასი ნივთიერებების მილიარდ ატომში შეიძლება იყოს მხოლოდ რამდენიმე ატომი მინარევი ნივთიერება.

სიტყვის დასასრულს, აკადემიკოსმა კელდიშმა პირობა მისცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მეცნიერები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის ქიმიის განვითარებაში.

სიტყვას ამბობს პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ფ. ა. ტაბეევი.** მან თქვა, თუ რა სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობა. შვიდწლედის განმავლობაში იგი დაზოგავს ერთ მილიარდ მანეთზე მეტს რუსეთის 30-მილიარდიანი დამატების ანგარიშში.

ჩვენ, აღნიშნა ორატორმა, დაუშრეტელი რესურსები გვაქვს სინთეზური მასალებისა და მინერალური სასუქების წარმოებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ თათრეთში ბევრი რამ გაკეთდა ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. ამ დარგში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ოვდაჯერ და მეტად გაიზარდა. ათვისებულია ასი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ორგანული სინთეზის მრეწველობის განვითარების, ნავთობის ნედლეულისა და თანამგზავრი გაზის გამოყენების გზაზე. ამას წინათ ყაზანში საექსპერიმენტალოდ გადაეცა ორგანული სინთეზის ქარხნის პირველი რიგი. წარმატებით ვითვისებთ ფენოლისა და აცეტონის წარმოების საპროექტო სიმძლავრეებს.

მაგრამ სინთეზური მასალების ქიმიის განვითარებაში, აღნიშნა ამხ. ტაბეევმა, დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს. უნდა გავთვალისწინოთ უწინარეს ყოვლისა წიაღის კომპლექსური გამოყენება, ლიმოჭუხვრათ ბუნებრივი გაზის დანაკარგები. მგგგმავმა ორგანოებმა ყურადღებით უნდა განიხილონ ჩვენი ის წინადადებანი, რომ რაციონალურად გამოვიყენოთ ნახშირწყალბადის ნედლეული როგორც საფუძველი თანამედროვე ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, სინთეზური მასალებისა და მინერალური სასუქების წარმოებისათვის.

ჩვენ ვსახავთ 1965 წლისათვის დავამთავროთ გაზბენზინის დიდი ქარხნის მეოთხე რიგის მშენებლობა, რომელიც დიდი რაოდენობით გამოიყენებს ნავთობის თანამგზავრ გაზს. მიგვიჩნია, რომ ეკონომიურად ხელსაყრელია სინთეზური კაუჩუკის წარმოების განვითარება თათრეთში. აქ არის იაფი და მაღალხარისხოვანი ნედლეული, ელექტროენერგიისა და წყლის ძლაერი ყაორება, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის ფართო ქსელი, მოხერხებული წყლის ტრანსპორტი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს კაპიტალური დაბანდების სწრაფად ანაზღაურებას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს **დ. ფ. უსტინოვს.** მან ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და იმ დიდი რეზერვების შესახებ, რომლებიც ინდუსტრიის ამ დარგს აქვს.

ერთ-ერთი ასეთი რეზერვია, განაცხადა ორატორმა, ახალ სიმძლავრეთა ამოშვებისა და ათვისების დაჩქარება. ხშირად ამოშვებისა და გამართვის პერიოდში შეიწყვარებლად ბევრი დრო იკარგება იმისათვის, რომ შეინაღვლონ წარმოება და მიაღწიონ როგორც პროდუქციის გამოშვების მოცულობის, ისე მისი ხარისხის საპროექტო მაჩვენებლებს.

ამხ. უსტინოვმა გააანალიზა ასეთი მდგომარეობის მიზეზები და მიიჩნია, რომ ეს მდგომარეობა შედეგია იმისა, რომ შეცდომებს უშვებენ საწარმოთა დაპროექტების დროს, შენებლებს, მემონტაჟეებს ბოლომდე არ მიჰყავთ საქმე, ცალკეული მანქანათსაშენებელი ქარხნები უშვებენ დეფექტიან მოწყობილობას.

ხშირად ახალი წარმოების ხანგრძლივი ათვისების მიზეზია ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, კადრების, განსაკუთრებით წამყვან პროფესიათა კადრების ცუდი მომზადება. ახალი და ტექნიკურად რთული საწარმო მოითხოვს მაღალკვალიფიციურ მუშებს, ისინი წინასწარ უნდა მოვამზადოთ. საწარმოებს, ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები ჯერ ოფნად არ აფასებენ ამ დიდმნიშვნელოვან პირობას. ამხ. უსტინოვმა მოიყვანა დამახასიათებელი მაგალითი. დღემდე ვერ მიაღწია თავის საპროექტო სამძლავრეს სუმგაითის ფოსფორიანი სასუქების ქარხნის გოგირდმჟავას საამქრომ, რომელიც ჯერ კიდევ მარაგან ამუშავდა. აქ დანახარჯები ერთი ტონა გოგირდმჟავას გამოშვებაზე ერთიორად მეტია ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებში გამოშვებული ანალოგიური პროდუქციის საშუალო ღირებულებასთან შედარებით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ილაპარაკა უფრის სასთეზური სპირტის ქარხნის შესანიშნავ გამოცდილებაზე. საწარმოს ხელმძღვანელები კარგად მოემზადნენ ახალი პროდუქციის გამოშვებისათვის. ამის შედეგად ახალი წარმოების ათვისებას ცოტა დრო დასჭირდა.

მაგრ რა არის საჭირო, რომ მინიმუმამდე შევამციროთ ამუშავებისა და პროდუქციის გამოშვების ათვისების პერიოდი ახალ საწარმოებში? საჭიროა წარმოების ძირითადი ხელმძღვანელები შემადგენლობა დავნიშნოთ პროექტის სამუშაო ხახაზების დამუშავების დასაწყისშივე. მაშინ საამქროს უფროსი, ტექნოლოგი შეისწავლიან მომქმედ ქარხნებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ყველა საწარმოო დეტალს, მონაწილეობას მიიღებენ დაპროექტებაში, შეიტანენ თავიანთ შესწორებებს. ისინი აქტიურად ჩაერევიან მონტაჟის მსვლელობაში. თვალყურს ადევნებენ მისი შესრულების ხარისხს. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ბევრი შეცდომა და გადავკეთებ. მუშაობა ჯერჯეს წინდაწინ უნდა ვასწავლოთ მომქმედ ანალოგიურ წარმოებებში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. უსტინოვმა მიუძღვნა ლაბორატორიული კვლევიდან სამრეწველო წარმოებამდე გარდამავალი პერიოდის შემცირების საკითხებს, საცდელ-სამრეწველო ბაზების როლს, სადაც სრულად დამუშავდება ტექნოლოგიური პროცესები, ითვისებენ ახალ მანქანებსა და აპარატებს. ასეთი ბაზები უნდა გახდეს თავიანთი ცენტრები, რომლებიც, როგორც ესტაფეტა, მიიღებენ მეცნიერთა შრომის შედეგებს; ამ ბაზებმა პრაქტიკულად უნდა გადაკრან ამოცანა, რომ ყოველი ღონისძიებით შემცირეს გარდამავალი პერიოდი ლაბორატორია-წარმოება. მომავალი წლის გეგმით გათვალისწინებულია საცდელ-სამრეწველო ბაზების მუშაობის ორგანიზაციის გაფართოება და გაუმჯობესება.

ორატორს მიაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესი ქიმიური პრობლემები, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, უნდა გადაიჭრას კომპლექსურად. ეს ნიშნავს, რომ ლაბორატორიულ სამუშაოთა სტადიიდანვე ქიმიკოსებმა, ტექნოლოგებმა, დამპროექტებლებმა, მანქანათმშენებლებმა, ხელსაწყოთმშენებლებმა უნდა აწარმოონ პარალელური, და არა თანამიმდევრული მუშაობა, რათა მეცნიერულ-კვლევით და საცდელ სამუშაოთა დამთავრების მომენტისათვის დამთავრდეს ახალი ტექნოლოგიური პროცესის სამრეწველო რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კომპლექსი.

შეეხო რა ქიმიური ინდუსტრიის რეზერვებს, ამხ. უსტინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს მოწინავე საწარმოთა გამოცდილება. მან მოიყვანა მთელი რიგი საინტერესო მაგალითები. სხვადასხვანაირად იყენებენ, მაგალითად, სპირტის საწარმოო რეაქტორებს, რომლებსაც ერთნაირი კონსტრუქცია აქვთ. ყველა საწარმოში რეაქტორების წარმოებლობა იმ დონემდე რომ აიყვანონ, რომელსაც უფის ქარხანამ მიაღწია, სპირტის საერთო წარმოება ჩვენს ქვეყანაში შეიძლება გადიდდეს მილიონობით დეკალიტრით.

გრანდიოზულია ქიმიური ინდუსტრიის განვითარების ამოცანები, თქვა ორატორმა. და არავითარი ექვი არ არის, რომ ეს ამოცანები შესრულდება.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. ახუნდოვმა** პლენუმის მონაწილეებს აცნობა, თუ როგორ ვითარდება და რა პერსპექტივები აქვს რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობას. იმის გამო, რომ აზერბაიჯანში არის ნავთობგაზიანი და სხვა სახეობათა მინერალური ნედლეულის მდიდარი რესურსები ქიმიური წარმოებისათვის, აგრეთვე კარგად განვითარებული ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, თქვა მან, რესპუბლიკას აქვს ხელშემწყობი წანამძღვრები იმისათვის, რომ გახდეს ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის ერთ-ერთი ცენტრი. 1958 წელთან შედარებით ქიმიური პროდუქციის წარმოების მოცულობა 1963 წელს ჩვენში გაიზარდა 2,7-ჯერ. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამუშავდა ბაქოს სალტეების ქარხანა, სუმგაითის სუპერფოსფატის ქარხანა, ყარადაღლა და სიახანის გაზბენზინის ქარხნები და მთელი რიგი ახალი ქიმიური კომპლექსები მოქმედ საწარმოებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში დამთავრდა სუმგაითის ქიმიიური კომბინატის გაზის დასაფრაქციებელი დანადგარი, სუმგაითის ქიმიური ქარხნის ეფექტიანი პერაციდის — ბუტილის ეთერის საწარმოო დანადგარის მშენებლობა.

ორატორმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად დიდი ზრდისა, ქიმიური მრეწველობის განვითარება რესპუბლიკაში ჩამორჩება შვიდწლედის დავალებებს. ამასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაცია იღებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქიმიური ობიექტების მშენებლობის ტემპის გადაჭრით დაჩქარება.

1965 წელს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1958 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 4,9-ჯერ, ამასთან ზრდის საშუალო წლიური ტემპი უნდა იყოს 31,6 პროცენტი. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სინთეზური ეთილის სპირტის, კაუჩუკიური სოდისა და სინთეზური კაუჩუკის გამოშვება, მოეწყობა ახალი ძვირფასი ნედლეულისაგან — გლიცერინის, ეპიქლორჰიდრინისა და იზოპროპილის სპირტის წარმოება. 1964-1965 წლებს გეგმით გათვალისწინებულია გაფართოვდეს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება და გადიდდეს მათი ასორტიმენტი. პერსპექტიული მონახაზების პრაქტიკულ რეალიზაციაზე მუშაობენ მეცნიერები.

რესპუბლიკაში შეძუშავებულია, სარწყავ მიწებზე მარცვლის წარმოების გადიდების ღონისძიებანი. უხვ გარანტირებულ მოსავლს მოვიყვანთ უახლოეს წლებში იმ გზით, რომ უკეთ გამოვიყენებთ სასუქებს, ჰერბიციდებს, სტიმულატორებს, რაციონალურად გამოვიყენებთ სარწყავ წყალსა და დაკნერგავთ უხვმოსავლიანი ჯიშების პურეულს.

ორატორმა წამოაყენა წინადადება მოეწყოს ძვირფასი წტიმულატორის — ნავთობის სასარგებლი ნივთიერების მასობრივი გამოშვება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნიადაგ-კლიმატურ პირობებში წარმოებული ცდები ცხადყოფენ, რომ ამ ნივთიერების გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, აგრეთვე ძეცხოველეობის პროდუქტიულობა. რესპუბლიკის ნედლეულის რესურსები საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ეს ნივთიერება; აუცილებელია, რომ თითქმის ათ გავიღოთ კაპიტალური დაბანდება ისეთი ოდენობით, რაც საკმარისია მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამხ. ახუხდოვმა პლენუმს აღუთქვა, რომ აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია, აზერბაიჯანის ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალ-ღონეს იმ ამოცანათა შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში.

როგორ გამოვიყენოთ სწორად და რაციონალურად ქიმიის პროდუქტები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში? რა ამოცანები ესახებათ ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანოებსა და სოფლის ყველა მშრომელს? ამ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ი. პ. ვოლოვჩენკომ.**

უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნია ორატორმა ცენტრალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნა ჩვენს ქვეყანაში. ქიმიური ანალიზების წარმოებასთან, ნიადაგთა რუკებისა და კარტოგრამების შედგენასთან ერთად ამ სამსახურმა უნდა შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ უფრო მიზანშეწონილად ყველა ქიმიური საშუალება სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სამეხისტრომ შეიმუშავა პროექტი ასეთი სამსახურის მოწყობისა ჩვენს ქვეყანაში. რესპუბლიკებსა და ოლქებში უნდა შეიქმნას 204 აგროქიმიური ლაბორატორია. დასახულია ლაბორატორიები შეიქმნას აგრეთვე საწარმოო სამმართველოებში.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დასახულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება შეუძლებელია, თუ არ გვეყოლა სპეციალისტთა კარგად მომზადებული კადრები, ხაზგასმით აღნიშნა ი. პ. ვოლოვჩენკომ. აგროქიმიკოსები, აგრეთვე მეცნარეთა დაცვის სპეციალისტები, რომლებსაც ამჟამად უშვებენ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სრულიადაც არ არიან საკმარისი.

ახლა დასახულია გავაფართოოთ ამ სპეციალისტების მომზადება. 1965 წელს მიღება უმაღლეს სასწავლებლებში აგროქიმიის დარგზე გაიზრდება ერთიორად, ხოლო მცენარეთა დაცვის დარგზე — ერთნაწევარჯერ. შვიდ წელიწადში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მიიღებს თითქმის 19 ათას აგროქიმიკოსსა და 20 ათას მცენარეთა დაცვის აგრონომს. ამათვის გათვალისწინებულია გაიხსნას ხუთი ახალი აგროქიმიური ფაკულტეტი სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში, აგროქიმიის 40 განყოფილება და მცენარეთა დაცვის 70 განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში.

ამასთან უნდა ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის აგროქიმიის დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაცია. ეს ეხება ასი ათას აგრონომსა და სხვა სპეციალისტს. უდიდესი მნიშვნელობა სასუქების სწორად გამოყენებაში აქვს აგრეთვე აგროქიმიის საყოველთაო სწავლებას სოფლად. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები უნდა დაეუფლონ აგროქიმიის საფუძველთა ცოდნას.

ი. პ. ვოლოვჩენკომ აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის მეცნიერება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ქიმიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, და თქვა, რომ სპეციალიერ-საკვლევი ინსტიტუტები, საცდელი სადგურები და უმაღლესი სასწავლებლები სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის განხორციელების ნამდვილი ცენტრები უნდა გახდეს. ეს მუშაობა მეცნიერებმა უნდა-მიიჩნიონ თავიანთ პირდაპირ მოვალეობად, თავიანთ ვალად ხალხის წინაშე.

ი. პ. ვოლოვჩენკომ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას კოლოსალური შესაძლებლობანი აქვს. ქიმიის პროდუქტების გამოყენება სხვა ღონისძიებებთან შეხამებით საშუალებას მოგვცემს შეგქმნათ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე.

ბაშკირთის ასს რესპუბლიკაში ქიმიის განვითარების ძირითად საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ზ. ნ. ნურიევმა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებები ბაშკირეთი დაყენებული იყო დიდი ქიმიისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, თქვა ორატორმა. მან აღნიშნა, რომ იაფი ნედლეული — ნავთობის თანამგზავრი გაზებისა და ნავთობის გადამუშავების გაზების მარაგმა საშუალება მისცა რესპუბლიკას შეექმნა მრეწველობის დარგი, რომელიც ძვირფას სინთეზურ მასალებსა და პროდუქტებს აწარმოებს. ხუთი წლის მანძილზე ბაშკირეთში აშენდა, ამუშავდა და ათვისებულია ათობით ახალი ქიმიური წარმოება, მათ შორის ისეთი წარმოებანი, როგორიც არის დიდი წნევის პოლიეთილენი, ეთილისა და ბუტილის სპირტები, მეთილსტიროლი, ფენოპროპილი, ბენზოლი, სინთეზური ცხიმოვანი მჟავები, კაუჩუკი, მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი და სხვა.

ამავე დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა გოგირდმჟავას, კაუსტიკური სოდის, კალცინირებული სოდის ახლანდელ წარმოებათა სიმძლავრეები. ქიმიის ხელფრთი წონა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 1958 წელთან შედარებით თითქმის ერთიოროთად გაიზარდა. სინთეზური სპირტების, კაუჩუკის, ცხიმოვანი მჟავების ხარჯზე, რომლებიც ბაშკირეთში წარმოებული ამ ბოლო წლების მახძილზე, დაიზოგა 200 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი და 50 ათას ტონახე მეტი საკვები ცხიმები.

ახლა ბაშკირეთის მშენებლები და ქიმიკოსები ბეჯითად შრომობენ, რომ რაც შეიძლება მალე ათმუშაონ ქიმიური პროდუქციის წარმოების ახალი სიმძლავრეები. 1964 წელს აგვიფსებენ თანამშედრომელ ქიმიის გიგანტის — სტერლიტამაკის ქიმიური ქარხნის პირველი რიგის საამქროებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მისცემენ სინთეზურ მასალებს. შეიდწლედის დარჩენილ ორ წელიწადში ჩვენში უნდა ამუშავდეს დაახლოებით 50 ახალი ქიმიური წარმოება.

ლუგანსკის ოლქის მშრომელებს — მაღაროელებს, ქიმიკოსებს, მშენებლებს, მეტალურგებს, მანქანათმშენებლებს, რომლებიც სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებენ, თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, თქვა უკრაინის კომპარტიის ლუგანსკის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. შევჩენკომ.**

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ქიმიური მრეწველობა. შვიდწლედის დამდეგიდან ოლქის ქიმიურმა საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 28,9 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია.

ორატორმა ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებული ლისიჩანსკისა და რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატებში, დონეცკის სოდის ქარხანაში.

ეს არის ქიმიურ საწარმოთა, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივის ბეჯითი შრომის შედეგი, პარტიული მუშაობის გაძლიერების შედეგი. ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომუნისტთა 70 პროცენტი მუშაობს იქ, სადაც დიდი ქიმიის ბედი წყდება.

ამხ. შევჩენკომ ილაპარაკა იმაზე, თუ რა გაკეთდა ოლქში მას შემდეგ, რაც ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ლისიჩანსკის ქიმიურ კომბინატს. მიმდინარე წელს დამთავრდა 14 ქიმიური წარმოების მშენებლობა, რომლთა სიმძლავრეების წარმატებით ითვისებენ. პირველად საბჭოთა კავშირში წარმოებულია კატალიზატორი ჟანგვის სქემით. რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატში წარმატებით ითვისებენ კუბური სალბერბისა და ქიმიური ბოჭკოებისათვის საჭირო სალბერბის საწარმოო საამქროთა კომპლექსს. ლუგანსკელმა ქიმიკოსებმა წლიური გეგმის გადაჭარბებით 42 ათასი ტონა მინერალური სასუქები აწარმოეს, დამატებით გაზარდეს სიმძლავრენი 70 ათასი ტონა; ამიაკის წყლისა და ათეული ათასობით ტონა ამონიუმის გვარჯილის. გამოსაშვებად მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივები იღებენ ყველა ღონისძიებას, რომ შეასრულონ ვალდებულებანი: ამუშაონ ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები და შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით გაზარდონ გასულ წელთან შედარებით.

ორატორი შეეხო შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს სარწყავი მიწათმოქმედებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის პირობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საღამოს სხდომა გაიხსნა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ი. ი. ბოდიულის** გამოსვლით. მან თქვა, რომ პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპაზე საწარმოო ძალების, შრომის ეკონომიის და საზოგადოების მატერიალური რესურსების შემდგომი განვითარების უდიდეს პერსპექტივებს სახავს.

სპეციალისტების გამოანგარიშებ ი თ, თქვა ამხ. ბოდიულმა მოლდავეთის სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია საშუალებას მოგვცემს უკვე 1965 წელს გავადიდოთ მარცვლის წარმოება 200 მილიონ ფუთამდე, წინათ დასახულ 110 მილიონ ფუთთან შედარებით, მზესუმზირისა — 400 ათას ტონამდე (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 330 ათასისა), მკვეთრად გაიზარდა შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ხილისა და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება. სამობლო მიიღებს აგრეთვე მეტ ხორცს, რძეს, მატყლს, კვერცხს.

ამ შედეგებს რომ მივაღწიოთ, საჭიროა იქნება 600-650 ათასი ტონა მინერალური სასუქი, ანუ ხუთჯერ მეტი, ვიდრე შარშან იყო შეტანილი. სასუქების შესყიდვისა და შეტანის დანახარჯები დაახლოებით 15-20 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო დამატებით მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდ შემოსავალი — 230-250 მილიონ მანეთს. ეს რეალური შესაძლებლობაა, რომელიც დადასტურებულია მოლდავეთის ბევრი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების გამოცდილებით.

ამხ. ბოდიულმა თქვა, რომ მიმდინარე წელს, რომელიც მეტად რთული იყო კლიმატური პირობების მხრივ, მოლდავეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს მისცეს 40 მილიონი ფუთი მარცვალი, ანუ დაახლოებით 10 მილიონი ფუთით მეტი,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად

დიდი ქიმია—ხალხის კეთილდღეობას!

მეგობრობით—გამარჯვებისაკენ!

რეპორტაჟი კრემლის ყრილობათა სასახლიდან

უკრაინა—საქართველო

შუენელეგელი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** ღრმაშინაარსიანი მოხსენება ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის შესახებ.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პლენუმის მონაწილეებში. შესვენებაზე ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან ქიმიური მრეწველობის მუშაკები, მეცნიერები, სოფლის მშრომელები. ისინი ერთმანეთს უზიარებენ პლენუმის მუშაობისა და პირველ რიგში ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული მოხსენებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს.

აქ, კრემლის ყრილობათა სასახლეში, იქნდება აგრეთვე საბჭოთა მრავალეროვანი ხალხების მეგობრობა. აქ ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრები, საუბრობენ ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს მარცვლეულს, ხორცს, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საუხვე უპატაკეს. სიღნაღელებმა დაეიანთ წარმომადგენლებად პლენუმზე გაგზავნეს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ს. ხოსროშვილი** და ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. ყოჩიაშვილი.**

სიღნაღელებს მიღწეული არ აკმაყოფილებთ. ისინი ცდილობენ ისწავლონ პურეულის მოყვანის ახალი, მოწინავე მეთოდები. სწორედ ამ სურვილმა დააკავშირა ისინი კრემლის ყრილობათა სასახლეში **უკრაინის სსრ ნიკოლაევის ოლქის სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოს** წარმომადგენლებთან.

• სიღნაღელები პურეულის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ სწორ გზას სასუქების გამოყენებასა და რწყვაში ხედავენ. სასუქებს კარგად იყენებენ, მაგრამ რაც შეეხება რწყვას, ამ მხრივ ისინი დაბრკოლებას აწყდებიან.

სწორედ რწყვაზე დაიწყეს საუბარი სიღნაღისა და სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოების წარმომადგენლებმა.

— ჩვენი მინდვრები, — ამბობს სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ალექსანდრე სემიონოვი,** — მდინარეების სამხრეთის ბუგისა და დნეპრის ნაპირებზეა გადაშლილი. გვალვა ხშირად დიდ უსიამოვნებას გვაყენებდა. ამჟამად ეს სიძნელეები დაძლეულია. ჩვენს მინდვრებს დნეპრის წყალი რწყავს და სამხრეთის სიცხე ვერაფერს აკლებს. მიუხედავად ამისა, წელს გვალვამ მაინც დაღი დაგვატყო. მართალია, მარცვლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეთ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს.

212.000 ჰექტარი სავარგულები გვაქვს. აქედან 197.000 ჰექტარი სახნავია. 40.000 ჰექტარი დნეპრის წყლით ირწყვება. წელს 67 ათასი ტონა პურეული მივეცით სამშობლოს.

— ძირითადად რომელი ჯიშის ხორბალს თესავთ? — ჰკითხა **ს. ხოსროშვილმა.**

— „უფხო-1"-ს. წელს იგი 103 ათას ჰექტარზე გვთესია... ეს ხორბალი ჩვენს პირობებში ხელსაყრელია. — უპასუხა ა. სემიონოვმა.

— „უფხო-1" ჩვენს პირობებშიც კარგ შედეგებს გვაძლევს, რწყვაზე რას გვეტყვით?

— როგორც გითხარით, ჩვენი მინდვრები დნეპრის პირას სამხრეთ უკრაინის დიდ სტეპზეა გადაშლილი და ზაფხულობით გვალვა ხშირია. ამიტომ ჩვენ მოვწყვეთ დნეპრიდან წყალსატმავი სადგური. სტეპის პირობებში, მოგეხსენებათ, ხელისგულივით სწორ მინდვრებში რწყვა იოლია. მინდვრის მშრომელები კარგად დაეუფლნენ რწყვის მოწინავე მეთოდებს. **როგორ გითხრათ, მოდით გვესტუმრეთ, დაათვალიერეთ ჩვენი მინდვრები და თუ რაიმე მოგეწონებათ, გადაიღეთ.**

— აუცილებლად გეწვევით, — საუბარში ჩაერია **ნ. ყოჩიაშვილი.** სულ მალე ჩვენთან დაიწყება დიდი ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა და, ცხადია, დაგეჭირდება მუშაობაში გამოვიყენოთ რწყვის თქვენი მეთოდები. ამასთან ჩვენც გვაქვს ბევრი ისეთი რამ, რაც შეიძლება თქვენც გამოგადგეთ.

— რა თქმა უნდა... ჩვენ აუცილებლად გეწვევით, მით უმეტეს, მე ბევრი რამ მაკავშირებს საქართველოსთან.

სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველომ წელს მევენახეობაშიც ისახელა თავი. 1.500 ჰექტარი ვენახი აქვთ. აქ უმეტესად ქართული „რქაწითელი" და „საფერავი" აქვთ გაშენებული. ავიღოთ თუნდაც მეშკოვოპოგორელოვკის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა „პამიატ კომუნაროვ". მეურნეობის 1.000 ვენახებიდან უმეტესობა რქაწითელია. წელს მათ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი ყურძენი მიიღეს 560 ჰექტარ სრულმოსავლიან ვენახში.

— **მოდით, ერთმანეთს გავაცნოთ ხირსელი და მეშკოვოპოგორელოველი მევენახეები. ჩვენს მევენახეებს აუცილებლად დასჭირდებათ ქართველ მევენახეთა გამოცდილების შესწავლა. იქნება გამოთქვან სურვილი, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ,** — ამბობს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. სემიონოვი.**

— **კარგი იქნება, თუ ჩვენი კოლმეურნეობა კი თქვენი საწარმოო სამმართველოს კალინოვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას შეეჯიბრება.** ერთმანეთისაგან ვისწავლით, თუ როგორ დავამზადოთ სულ მეტი და მეტი პროდუქტები, — ეუბნება **ნ. ყოჩიაშვილი** კალინოვკელთა წინამძღოლს, სოციალისტური შრომის გმირს **სტეფანე ტანჩენკოს** და ხელს მაგრად ართმევს.

თანხმობის ნიშნად უკრაინელიც ხელს ართმევს და ეკითხება, წელს სამშობლოს რა მიეცითო.

ჯაფარიძელებს წელს საამაყო ბევრი რთველ მევენახეთა გამოცდილების **შესწავლა, იქნება გამოთქვან სურვილი, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ,** — ამბობს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. სემიონოვი.**

ჩაღდება სიღნაღისა და სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა შეჯიბრება

აქვთ. 1.421 ტონის ნაცვლად 3.769 ტონა მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ყურნისა და ბაღჩეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები.

უკრაინელ მეგობრებს მოეწონათ **ნ. ყოჩიაშვილის** ნათქვამი და თვითონაც ესაუბრნენ **კალინოვკელ** კოლმეურნეთა გარჯაზე:

— ჩვენს სოფელში ორი კოლმეურნეობა იყო, — ამბობს **სტეფანე ტანჩენკო.** — მათ შორის უფრო ძლიერი იყო ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. შრომის სწორი ორგანიზაციითა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით ვაღწევდით გამარჯვებას. შრომაში 2.400 ტონა მარცალი შეგინახეთ. გადაჭარბებით შეასრულეთ ხორცის, რძის, კვერცხისა და ყურძნის დამზადების წლიური გეგმებიც.

ჯაფარიძისა და კალინოვკის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ნ. ყოჩიაშვილმა და ს. ტანჩენკომ ერთმანეთს აღუთქვეს, რომ ჩაებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და უფრო გაადიდებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებას.

სიღნაღელ და სნიგირიოვკელ წარმომადგენელთა საუბარი საალმის სასტუმრო „უკრაინაში" გაგრძელდა. უკრაინელები და ქართველები ამ სასტუმროში დაბინავდნენ. სიღნაღელებმა მიიწვიეს ახლადშეძენილი მეგობრები.

— იცით რა, ამხანაგო ხოსროშვილო, — ამბობს სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. სემიონოვი, — **მოდით, გავაცნოთ ეს აზრი ორივე საწარმოო სამმართველოს მშრომელებს, რომ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

— ძალიან კარგი, — ეთანხმება ს. ხოსროშვილი, — ჩვენ მოხარული ვიქნებით ჩამოხვიდეთ ჩვენთან, გაეცნოთ ჩვენს რაიონს. გვასწავლოთ და ჩვენგანაც ისწავლოთ. ასევე ჩვენც გესტუმრებით და გაგეცნობით თქვენს შრომითს მეთოდებს.

— თებერვალში შეეხვედეთ ერთმანეთს **ან** სიღნაღში **ან** სნიგირიოვკაში. სოციალისტური შეჯიბრების ჟიურები კი ჩვენ სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. სემიონოვი, — **მოდით, გავაცნოთ ეს აზრი ორივე საწარმოო სამმართველოს მშრომელებს, რომ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

— ძალიან კარგი, — ეთანხმება ს. ხოსროშვილი, — ჩვენ მოხარული ვიქნებით ჩამოხვიდეთ ჩვენთან, გაეცნოთ ჩვენს რაიონს. გვასწავლოთ და ჩვენგანაც ისწავლოთ. ასევე ჩვენც გესტუმრებით და გაგეცნობით თქვენს შრომითს მეთოდებს.

— თებერვალში შეეხვედეთ ერთმანეთს **ან** სიღნაღში **ან** სნიგირიოვკაში. სოციალისტური შეჯიბრების ჟიურები კი ჩვენ რესპუბლიკური გაზეთები „რადიანსკა უკრაინა" და „კომუნისტი" იყვნენ.

— **კალინოვკა ჯაფარიძეს შეეჯიბრება, ხოლო ხირსა — მეშკოვოპოგორელოველს,** — თქვეს უკრაინელმა და ქართველმა მეგობრებმა.

— ვსარგებლობ შემთხვევით და ერთი თხოვნა მაქვს, — დაუმატა ა. სემიონოვმა. გაზეთ **„კომუნისტს"** რედაქციის საშუალებით მინდა მოვძებნო ჩემი ფრონტელი მეგობრები. მე თითქმის სამ წელს ვიყავი საქართველოში სხვადასხვა დროს. სამამულო ომის დროს ბორჯომშიც ვმკურნალობდი მძიმედ დაჭრილი. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში იბრძოდა ცალკე მსროლელთა 99-ე ასეული, რომელსაც მე ვმეთაურობდი. ჩემი ორდინარეცი და განუყრელი მეგობარი იყო **სერგო ლაზარეს-ძე სულაძე,** ჩემს ასეულში იყვნენ აგრეთვე **მამაცი** მებრძოლები **ბაშაძე** და **კონორია,** რომელთა სახელები, სამწუხაროდ, არ მახსოვს.

ჩემო ფრონტელო მეგობრებო — **ს. სულაძეე, ბაშაძეე** და **კონორიაე,** გთხოვთ მაცნობოთ თქვენი ამბავი ამ მისამართით: **უკრაინის სსრ, ნიკოლაევის ოლქი, სნიგირიოვკა, ალექსანდრე თევდორეს-ძე სემიონოვს.**

გვიან ღამემდე საუბრობდნენ სიღნაღელი და სნიგირიოვკელი მეგობრები, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შრომითს მეთოდებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისაგან მიღებულ მდიდარ შთაბეჭდილებებს.

ასე იქედება და უერღვევია რუს, ქართველ, უკრაინელ და სხვა საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა.

ასე იბრძვიან მინდვრის მშრომელები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

ვ. გოზალიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ძ. მოსკოვი,
დეკემბერი.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ს. ტანჩენკო;** სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. ყოჩიაშვილი,** სნიგირიოვკის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. სემიონოვი** და სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ს. ხოსროშვილი** კრემლის ყრილობათა სასახლეში შესვენების დროს.

ფოტო ა. კოტიასი.

• დაუგავპილსი—რუსთავი

ოროვითი—დიდ გზაზე

ლატვიისა და საქართველოს ქიმიკოსებმა, მშენებლებმა გააჩაღეს შეჯიბრება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად დაუგავპილსის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე დღითიდღე მატულობს შრომის ტემპი. მშენებლობა ღირსეული სიამაყით ატარებს ლენინური კომკავშირული მშენებლობის სახელს, აქ 51 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს. ამ ბრიგადებში 600 კომკავშირელი მონაწილეობს.

ერთ-ერთი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელად ამ სტრიქონების ავტორი ვარ გამოყოფილი.

ჩვენს ბრიგადაში, რომელმაც თავი ისახელა შეწყობილი მუშაობით, სულ 10 კაცია. მათ შორის ერთიც არ არის ისეთი, რომელსაც ათვისებული არ ჰქონდეს რამდენიმე მომიჯნავე პროფესია, არ სწავლობდეს საღამოს სკოლაში, ტექნიკუმში ან კურსებზე.

ცოდნის შეესება, საერთო განათლების ამაღლება საშუალებას გვაძლევს წარმატებით გავართვათ თავი დაკისრებულ ამოცანებს, ყოველი აღებული სამუშაო შევასრულოთ მაღალხარისხოვნად. ქალაქ დაუგავპილსში ჩამოვედი ერთი წლის წინათ, როგორც კი დავამთავრეთ პოლოცკში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა. ჩემი ბრიგადის ზოგი წევრი გამოცდილებას თვალსაზრისით ჩემზე უფროსია, მაგალითად, ზეინკალი-მემონტაჟე ვასილ ივანოვი აქ 1960 წლიდან, ე. ი. მშენებლობის დაწყებიდანვე მუშაობს. ასევე ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ ივანე შუტს და ზოგ სხვას. მაგრამ ეს სრულიადაც არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ბრიგადა მტკიცედ დისციპლინირებულ კოლექტივს წარმოადგენდეს.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მიეკუთვნა. მესამე კვარტალში საბრიგადათშორისო რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა ბრიგადამ გაიმარჯვა და მოიბოვა ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენს ბრიგადას ამ ობიექტის მშენებლობაზე დიდად რთული და პასუხსაგებ სამუშაოთა შესრულება უნდება. მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ დავამთავრეთ ქიმიურ კორპუსში უწყვეტი პოლიმერიზაციის აპარატის მაერით დაწნეხვა. ამან დიდი დრო წაგვართვა და იძულებული ვიყავით გვემუშავნა თავდადებით. ახლა ვმუშაობთ უწყვეტი პოლიმერიზაციის მეორე აპარატის მაერით დაწნეხვაზე, და პირობა დავდეთ, რომ მას დაწესებულ ვადაზე სამი დღით ადრე დავამთავრებთ.

უწუნოდ და მაღალი ტემპით მუშაობაში ხელს გვიწყობს ის გარემოება, რომ ჩვენი ბრიგადა ეჯიბრება მეორე ასეთსავე ბრიგადას, რომელსაც ბორის პესტეროვი ხელმძღვანელობს, და ბუნებრივია, რომ ჩვენი ბრიგადის თვითეულ წევრს ღირსების საქმედ მიაჩნია არ ჩამორჩეს მეზობელს.

ბრიგადის წევრებს ასეთი საბრძოლო დევიზი გვაქვს — „ფრიადზე ვიცოდეთ საკუთარი საქმე და ყველა ოპერაცია შევასრულოთ მაღალხარისხოვნად!"

მომიჯნავე პროფესიების შესწავლა და ათვისება ის საწინდარია, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი ბრიგადის წარმატება.

სულით და გულით მივეხალმები გაზეთ „კომუნისტს" საშუალებით რუსთავის დიდი ქიმიის საწარმოთა მშენებელ კომკავშირელებს, ვუსურვებ მათ შემდგომ ბრწყინვალე წარმატებას.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი დიადი სამშობლოს უძლეველობის გარანტიაა. შემდგომ განვავითაროთ და განვამტკიცოთ ჩვენი საერთო სამშობლოს ხალხთა ეს ძმური მეგობრობა!

ა. კორხი,
კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.

უწუნოდ, მაღალი ტემპით!

ჩვენი საქმის დიდი სიყვარულით

უურადღებით გავეცანით თქვენს წერილს, ძვირფასო ალექსანდრე. მართალია, ჩვენი მშენებლობა არ ატარებს ლენინური კომკავშირის სახელს, მაგრამ იგი გამოცხადებულია ახალგაზრდული მშენებლობის დამკვრელურ ობიექტად.

ჩვენთანაც, ისევე როგორც თქვენთან, მშენებლობაზე ძირითადად ახალგაზრდები არიან. სამ ბრიგადას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი, 50-მდე ახალგაზრდული ბრიგადა კი თავგამოდებით იბრძვის ამ სახელის მოსახვეჭად.

ჩემს ბრიგადაშიც 10 კაცია გაერთიანებული. ყველა მათგანი ჩაბმულია სწავლებაში. სწავლებისათვის კი ჩვენთან შესანიშნავი პირობებია. ჩვენს ქალაქში მრავალი საღამოსა და ცვლიანი საშუალო სკოლაა, ამასთან გვაქვს სამი სახელოსნო-პროფტექნიკური სასწავლებელი. ასობით ახალგაზრდა სწავლობს მეტალურგიულ და ქიმიურ ტექნიკუმში, ბევრიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საღამოს ფაკულტეტის სტუდენტია.

ჩვენს კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია გაერთიანებული, მეტად პასუხსაგები საშუშაოები აქვს დავალებული. ამჟერად ვმუშაობთ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მთავარი კორპუსის მშენებლობაზე. ეს ყველაზე დიდი სამშენებლო უბანია ქარხანაში. ვაწარმოებთ აგურის წყობასა და ბლოკების მონტაჟს. სხვათა შორის ამ ბოლო დროს შესანიშნავად ავითვისეთ მსხვილპანელიანი კედლების მონტაჟი. სამშენებლო ინდუსტრიაში ეს სიახლე დიდად აჩქარებს მშენებლობის ტემპს, აიოფებს მას. შემდგომ წერილებში დაწვრილებით გადმოგცემთ ამ გამოცდილების მთავარ დეტალებს.

მთავარ კორპუსზე სანამ მოვიდოდით, ჩვენ ვმუშაობდით ქიმიური კორპუსის და სკომპრესოროს მშენებლობაზე. ჩვენ მიერ ამ ობიექტზე შესრულებული სამუშაოები შეფასებულია „ფრიადზე". ქარხანას ისე ავაშენებთ, რომ თქვენ — კარგია!

ჩვენ განსაკუთრებით მოგვეწონა ლატვიელი ამხანაგების საბრძოლო დევიზი „ვიცოდეთ ფრიადზე საკუთარი საქმე და ყველა ოპერაცია შევასრულოთ მაღალხარისხოვნად". ასეთი დევიზი ჩვენც გვაქვს, ოღონ უფრო სხვანაირი გამოთქმით: „ბიუპარდეს შენი. საქმე, დაკისრებულ მოვალეობას გულმოდგინედ მოეკიდე".

რუსთავის ქიმიის მშენებელი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით უდიდეს მადლობას გიძღვნით გულწრფელი და გულთბილი სალმისათვის. აქვე მინდა გისურვოთ შემდგომი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში.

თქვენ ზედმიწევნით მართალი ხართ, როცა ამბობთ, საბჭოთა ადამიანების მეგობრობა ყველა ჩვენი წარმატების საწინდარიაო. მინდა თქვენივე სიტყვებით გიპასუხოთ: „მოდით, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს მეგობრობა".

რ. ბარათაშვილი,
კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ოდნა, ქიება

ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მეცნიერ მუშაკებს მისცა გარკვეული მიმართულება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სწორად წარმართვისათვის და დარაზმა მთელი ძალები ქიმიური მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრა მუშაობს ისეთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიც არის მინაპლასტების მიღება ადგილობრივი მსუბუქი შემავსებლებით. დიდი ასეთი სახის მინაპლასტების როლი ჩვენს სახალხო მშენებლობაში. მინაპლასტები წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან სამშენებლო მასალას. მათ იყენებენ ტრანსპორტზე, მანქანათმშენებლობაში, მსუბუქ მრეწველობაში, სამშენებლო საქმეში და სხვ. მინაპლასტებს ლითონთან შედარებით გაცილებით მაღალი მექანიკური თვისებები ახასიათებს და ამასთან 5-ჯერ მსუბუქია; მათი გამოყენება შეიძლება აგრეთვე როგორც საიზოლაციო მასალისა.

მინაპლასტების მიღება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე არ წარმოადგენს სირთულეს და მეტად ეკონომიურია. ნედლეულად ძირითადად იხმარება, სხვა მასალებთან ერთად, რუსთავის წიდებიც.

გარდა აღნიშნული პრობლემებისა, კათედრა მუშაობს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე. ასეთია მაგალითად მეტალახის ფილების წარმოებისათვის ნედლეულის ბაზის — ძვლად დნობადი თიხების შესწავლა. ამ მიზნით მარტო წელს შესწავლილია 200-მდე თიხის ნიმუში. კათედრა ამუშავებს თემას: „ცეცხლგამძლე ცემენტისა და ბეტონის მიღება სერპენტინიტისა და ჩამქრალი კირის ბაზაზე". მნიშვნელოვანია თემა — „ადგილობრივი ნედლეულიდან სამშენებლო ძელების მიღება შეორთქლით".

აღნიშნული პრობლემების შესწავლა ხელს შეუწყობს სამშენებლო საქმის კიდევ უფრო გაშლას.

ბ. ალასანია,
სპი-ს სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი.

მარგანეცის ნარჩენები ზრდის მოსავლიანობას

მეტალურგიის გარდა მარგანეცს იყენებენ ავრეთვე ქიმიურ მრეწველობაში, მისგან ამზადებენ მარგანეცის მარილებსა და მარგანეცის პრეპარატებს, აგრეთვე იყენებენ ქლორის, ბრომის, იოდის თავისუფალი ელემენტების მისაღებად. მარგანეცს ფართოდ იყენებენ საღებავების დასამზადებლად, ხარისხობრივი მარგანეცრანი ცემენტის მისაღებად. მარგანეცს ხმარობენ მინის წარმოებაში, ასანთის, ბამბისა და ტყავის მრეწველობაში. მარგანეცის გარკვეული რაოდენობა იხმარება მედიცინაში, როგორც პერმანგანატი.

მარგანეცის ქიმია ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. მარგანეცს ბევრი შესანიშნავი ქიმიური თვისება და შესაძლებლობა აქვს, რაც სათანადო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა ღრმად უნდა შეისწავლონ. ბოლო ხანებში დადგინდა, რომ მარგანეცის ღარიბი მადნებიდან შესაძლებელია ქიმიური მეთოდებით მივიღოთ ლითონური მარგანეცი, რასაც დიდი სახელმწიფოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ვარაუდობენ, რომ საქართველოში ყველა წინაპირობაა მარგანეცის ქიმიის ქარხნების შესაქმნელად. ასეთ საწარმოოთა რიცხვს მიეკუთვნება კალიუმის პერმანგანატისა და მარგანეცის აქტიური ორანგის ქარხნები, რომლებიც შეიძლება ჭითურის მარგანეცის საბადოს ნედლეულის ბაზაზე აშენდეს. კალიუმის პერმანგანატი ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთიდან შემოაქვს. ამიტომ ასეთი საწარმოების დაპროექტება და მშენებლობა მით უმეტეს უნდა დაჩქარდეს.

ფრიად საინტერესოა მარგანეცის გამდიდრება ქიმიური მეთოდით, რომელიც ეს არის ახლა ინერგება. მადნის ქიმიური გამდიდრების სქემა დაამუშავა კრიკოო როგის საპროექტო-საძიებელო ინსტიტუტმა „მეხანობრჩიმეტმა". ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს საცდელი საამქრო შლამების ქიმიური გამდიდრებისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს მარგანეცის შლამების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ცნობილია, რომ მარგანეცის გამდიდრების არსებული მეთოდები სრულყოფილი არ არის, და მდინარე ყვირილას შლამების სახით ყოველწლიურად ერთ მილიონ ტონამდე დანაკარგი მიაქვს. ბოლო ხანებში ამ მდგომარეობას ყურადღება მიექცა და შლამების გასამდიდრებლად შენდება ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკა.

ამასთანავე დადგენილია, რომ მარგანეცის მარილებისა და კერძოდ შლამების, როგორც მიკროსასუქის შეტანა ნიადაგში მნიშვნელოვნად ზრდის სიმინდის, ხორბლის, ბოსტნეულის, ვენახის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების მოსავლიანობას.

ამ რამდენიმე წლის წინათ საკავშირო დეპეშათა სააგენტო კიევიდან იუწყებოდა: „უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განზრახულია სასუქად გამოიყენონ მარგანეცის ნარჩენები, რომლის მარაგი მილიონ ტონობით არის.

მარგანეცის შლამების ნიადაგში შეტანა ძალიან მოქმედებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებასა და მოსავლიანობის ზრდაზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შლამების გამოყენებით შაქრის ჭარხლის მოსავლის საშუალო მატებამ ჰექტარზე შეადგინა 14-22 ცენტნერი, ხოლო მარცვლეულისამ — 3-4,7 ცენტნერი".

მარგანეცის შლამების, როგორც მიკროსასუქების, დამზადებისათვის გადაწყვეტილია ჭიათურაში — ახალი ითხვისის მაღაროს მეორე რიგის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში მოეწყოს შლამების დამჭერი საამქრო წლიურად 5.000 ტონა სასუქის წარმადობისა. შემდეგში ეს ციფრი გაიზრდება.

დასასრულ ვიმეორებთ, რომ აუცილებელია ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ მარგანეცის ქიმია და ამ ძვირფასი მადნის დიდი შესაძლებლობანი ამ მხრივაც ჩავაყენოთ ჩვენი ხალხის სამსახურში.

გ. კერესელიძე,
მარგანეცის ხარისხების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

ქიმია მანქანათმშენებლობაში

ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი მსჯელობენ ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების ამოცანებზე. საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება. გუშინ თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის საამქროებში, ცალკეულ უბნებზე აგიტატორები ესაუბრებოდნენ მუშებს დიდი ქიმიის სიკეთეზე, მისი შემდგომი განვითარების გზებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში.

ელმავალმშენებლების ესოდენ დიდი ინტერესი ქიმიისადმი იმით არის გამოწვეული, რომ აქ ყოველწლიურად ფართოდ იყენებენ პლასტმასებს. ძვირფასი ლითონენის ნაცვლად.

ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ვ. ლავალიმ განაცხადა:

— გულდასმით წაიკითხე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მოხსენებაში მოცემულია ქიმიის შემდგომი გაფურჩქვნის ღრმა ანალიზი, პარტია სახელოვანს უდიდეს კაპიტალურ დაბანდებას მისი განვითარებისათვის. ეს განაგებია. ქიმიის განვითარებლად შეუძლებელია ხალხთა მატერიალური ცხოვრების შემდგომი ამაღლება. ჩვენთან ქარხანაში დიდი გამოყენება ჰპოვა პლასტმასამ. დავამზადეთ წვეის ძრავის პლასტმასის კორპუსიანი კოლექტორი, რაც პირველია საბჭოთა კავშირში და იძლევა 170 ათას მანეთ ყოველწლიურ ეკონომიას. პლასტმასისაგანვე დავამზადეთ მოტორვენტილატორისა და მოტორკომპრესორის ღუზები. ასეთი კოლექტორები დაყენებულია ელმავლებზე და ამჟამად გადიან საექსპლოატაციო გამოცდას. მომავალ წელს ისინი მასობრივად დაინერგება, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. ქიმიის შემდგომი განვითარება მანქანათმშენებლებს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს წარმოებაში ფართოდ გამოიყენონ დიდი ქიმიის სიკეთე.

სურათზე: ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ახალი საამქროების მშენებლობის ახალგაზრდა ინჟინერი ჯ. გოლაშვილი (ცენტრში) მუშებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

შევამცირებთ მშენებლობის ვადებს

დიდი ყურადღებით მოვისმინეთ და გულდასმით წავიკითხეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე. ამიერკავკასიის მეტალურგიშენის ტრესტის სინთეზშენის სამმართველოს კოლექტივი ღრმად დარწმუნდა იმაში, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებით განვითარებას. ჩვენ ავწონდავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ: შევამჭიდროოთ მშენებლობის ვადები, ვადაზე ადრე გადავცეთ საექსპლოატაციოდ სინთეზური ბოჭკოს ქარხანა!

სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, რომელიც რუსთავში შენდება, ერთ-ერთი მსხვილი ქიმიური ობიექტია რესპუბლიკაში.

ახლა მშენებელ-მემონტაჟეების ყურადღება მიპყრობილია ქარხნის ძირითად, კორდოვანი ბოჭკოს საამქროს მშენებლობაზე, რომლის ფართობი 120.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს და რომლის ასაგებად საჭიროა ჩაიწყოს 60.000 კუბმეტრი რკინაბეტონის კონსტრუქცია. ამასთან ჩქარი ტემპით ვაშარმოებთ ქიმიური და კაპროლაქტამის საამქროების გარბილებული წყლის სადგურის, მაცივრისა და სხვათა მშენებლობას.

ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიზნად დავისახეთ წელს შემჭიდროებულ ვადებში დავამთავროთ მთავარი კორპუსის ერთსართულიანი ნაწილის მშენებლობა და ფრონტი დავუთმოთ სამონტაჟო ორგანიზაციებს. პირობა გავანადგეთ. აქ, მთავარ კორპუსზე მემონტაჟეები უკვე აწარმოებენ მანქანა-დანადგარებისა და მილების მონტაჟს. გათვალისწინებული გვაქვს ასევე შემჭიდროებულ ვადებში დავამთავროთ სამშენებლო სამუშაოები ქიმიურ კორპუსზეც. მომავალი წლის პირველ კვარტალში დავამთავრებთ ამ ობიექტის მშენებლობას და აქაც ფართო სამოქმედო ასპარეზს მივცემთ მემონტაჟეებს.

სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის დაჩქარების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი საკითხის დაყენება და მათი დროულად მოგვარება. ქარხნის დირექციამ აქედანვ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

გასტროლები და შთაბეჭდილებები

გულითადი მიღება

მ. გოგლიძე-მდივნის კონცერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

წინასწარ გამოკრული აფიშები, აგრეთვე საგაზეთო განცხადებანი იუწყებოდნენ: „პარასკევს, 22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე კარნეგი-ჰოლში გაიმართება საბჭოთა პიანისტის მარინე მდივნის კონცერტი...“ ამ დღეს 1 საათსა და 30 წუთზე გაისმა სამი საბედისწერო გასროლა, და ნახევარი საათის შემდეგ შეძარწყინებულმა მსოფლიომ შეიტყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს. ყველა თეატრი, კინო და საკონცერტო დარბაზი კვირის ბოლომდე დაიხურა.

მარინე მდივნის, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი საბჭოთა პიანისტი ქალის დებიუტი ნიუ-იორკში თითქმის ერთი კვირის შემდეგ გაიმართა. მეორე დღეს ლინკოლნის ხელოვნების ცენტრის ფილარმონიის დარბაზში გაიმართა გამოჩენილი საბჭოთა პიანისტის პროფესორ ლევ ობორინის პირველი გამოსვლა ამერიკაში.

ლევ ობორინი უკრავდა ჩაიკოვსკის პირველ კონცერტში ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, მარინე მდივანი ასრულებდა ბახის, ბეთჰოვენის, ლისტის, ოვჩინიკოვის ნაწარმოებებს.

„ორივენი ვირტუოზი-ფენომენები არიან!“ — შესძახა მათი გამოსვლის გამო მუსიკალურმა კრიტიკოსმა ჰარიეტ ჯონსონმა.

„ობორინი ღრმა ალტაცების ღირსია ჩაიკოვსკის მუსიკის თავისი მომწიფებული ყოვლისმომცველი ინტერპრეტაციისათვის“, — აცხადებს იგი. მარინე მდივანმა, ჯონსონის აზრით, ცხადყო „მუსიკის შინაგანი გაგება, ფანტაზია, ემოციების დიდი ძალა“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკანის“ აზრით, მან „ფენომენალური ტექნიკა“ გამოამჟღავნა განსაკუთრებით ბახის, ბეთჰოვენისა და ოვჩინიკოვის ნაწარმოებთა შესრულებისას. „მარინე მდივანს შეუძლია შეეჯიბროს მსოფლიოს რომელიც გნებავთ პიანისტ ქალს, ხოლო როცა კიდევ უფრო მოწიფული გახდება როგორც მსახიობი, იგი დიდი უნდა იქნეს“, — აცხადებს კრიტიკოსი მაილს კასტენდიკი. „ნიუ-იორკ უორლდ-ტელეგრამის“ თანამშრომელს ლუი ბიანკოლის მიაჩნია, რომ მ. მდივნის „სოლიდური დაკვრა მკაფიობით, მგზნებარებითა და სილამაზით განირჩევა“ და რომ მან „ცხადყო თავის ასაკზე უფრო მაღალი მომწიფებულობა, ძალა და ჰორიზონტის სიფართოვე“.

ლევ ობორინი, ბიანკოლის აზრით, გარეგნულად ნაკლებად ჰგავს პიანისტ-ვირტუოზს. „მაგრამ რა სიურპრიზი იყო, როცა იგი კლავიშებს შეეხო! ობორინი პირველხარისხოვანი მსახიობია, დიდი სიამოვნების მომნიჭებელი მუსიკოსია, ყველაზე მაღალ იდეალთა ერთგული“. „უკანასკნელ წლებში ჩვენ არ გვსმენია ჩაიკოვსკის პირველი კონცერტის უფრო ელეგანტური შესრულება“, — წერს ჰაროლდ შონბერგი „ნიუ-იორკ ტაიმსში“. ობორინის შესრულებაში „თავისუფალ ლირიკას, კეთილშობილურ ფრაზას“ აღნიშნავს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“.

წამყვან ამერიკელ კრიტიკოსთა აზრს შეიძლება დავუმატოთ მხოლოდ ერთი რამ: მარინე მდივანიც და ლევ ობორინიც ნიუ-იორკის საზოგადოებამ სულით და გულით მიიღო.

გ. კუზნეცოვი.

„სოვეტსკაია კულტურის“ საკ. კორ. ნიუ-იორკი.

გეოლოგები — სოფელს

რამდენიმე თვის წინათ ფოლადაურის გეოლოგიური საძიებელი ჯგუფი გაიხრებს აწარმოებდა სოფელ ქვემო ბოლნისის ტერიტორიაზე. მათ უნდა შეეწავლათ მიწის ქანები და გამოეკვლიათ ძვირფასი ლითონების შემცველობა. ამ სამუშაოების დროს ორასი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა საუკეთესო სასმელი წყლის მარაგი.

მალე სათანადო სამუშაოები დაიწყო, დაიდგა წყლის საქაჩი დანადგარები და აი ამას წინათ ორი სოფლის — ქვემო ბოლნისისა და გულავერის მოსახლეობამ საუკეთესო სასმელი წყალი მიიღო.

პ. ლონდარიძე.

ახალი საჩუქარი

ახალციხე. (საკ. კორ.). სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღეებში ახალი საჩუქარი მიიღეს ახალციხელმა მშრომელებმა.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გაიხსნა „საქვაკრობის“ ახალციხის განყოფილების ახალი უგამყიდველო სასურსათო მაღაზია.

სტუმრები ჩეხოსლოვაკიიდან

ბათუმი. (საკ. კორ.). ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით ბათუმს ეწვივნენ ჩეხოსლოვაკელი მეგობრები: ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური იან ნემეცი, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს სოფლის მეურნეობის საქმეთა რწმუნებულის მოადგილე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი კოლომან ბოდიასი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი მიროსლავ შმოდსი, ქალხანა „ტექნომატრის“ კონსტრუქტორი, სოციალისტური შრომის გმირი ვაცლავ ადამსი და სხვ.

ჩეხოსლოვაკელი სტუმრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის ი. ფუჩიკის სახელობის მე-15 საშუალო სკოლას, რომელმაც ბათუმში პირველმა დაამყარა მეგობრობა ქ. იგლავის № 1 საშუალო სკოლასთან.

შემდეგ ბოტანიკური ბაღის გავლით სტუმრები იყვნენ ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობაში, სადაც დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები და ციტრუსების ბაღები, გაეცნენ კოლმეურნეობის ეკონომიკას.

სტუმრებმა იმავე საღამოს მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საღამოში.

„ზამთარია, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს ზამთრის დღეებში გადაღებული სურათია. სადღაც თოვს, წვიმს, დეკემბრის ცივი ქარი გრიალებს. აქ კი, შავი ზღვის პირას, ჯერ კიდევ თბილა, სამხრეთულად ბრწყინავს მზე.

სურათზე: სოხუმი. პანსიონატ „სინოპის“ დამსვენებლები.

ფოტო მ. ტარასოვისა.

მკითხველის კალმით

☐ **სოფელი** ჩეხედანა ლეღვას სასოფლო საბჭოს ცენტრიდან 6 კილომეტრით არის დაშორებული. კოლმეურნეებს ცენტრამდე და განსაკუთრებით მოსწავლეებს საშუალო სკოლამდე ფეხით უხდებოდათ სიარული.

ჩაქვის ავტოსატრანსპორტო კანტორამ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, როდესაც დანიშნა ავტობუსი სოფელ ჩეხედანამდე.

ახლა ავტობუსი სამ რეისს აკეთებს დღეში და როგორც სოფლის მშრომელები, ისე მოსწავლეებიც კმაყოფილი არიან.

დ. ქათამაძე.

☐ **ლანჩხუთის** კომუნალური მეურნეობისა და ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს ექსკურსია მარშრუტით ლანჩხუთი-ზუგდიდი-სოხუმი-ღიწა-ლანჩხუთი.

რ. ლორია.

☐ **ახალციხის** საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილმა მოსახლეობასა და ახალგაზრდობაში მუშაობის საბჭომ საშუალო სკოლების პედაგოგების, მოსწავლეებისა და ქალაქის ახალგაზრდობისათვის მოაწყო ლექციათა თემაზე: „სამყაროს აგებულება და ადამიანის გაფრენა კოსმოსში“. ლექცია წაიკითხეს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერმა მუშაკებმა ვ. ჯაფიაშვილმა და ლ. ქსანფომალიტიმ.

ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბ. დიდიმამიშვილი.

ფინიფის სიმაღაფრე

გუშინ ბაქოში შედგა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა მეთვრამეტე ტური. ფინიშთან ბევრს ნერვიულობენ ლიდერები — პირველ რიგში რანიკუ, კუშნირი და ჩაიკოვსკაია. ფაქტიურად სწორედ ამ მოჭადრაკეებში უნდა განწილდეს საპრიზო ადგილები.

ამ სამეულიდან მეთვრამეტე ტურში ყველაზე უკეთესი შედეგი ჩაიკოვსკაიას აღმოაჩნდა. მან ივანოვასთან პარტიაში მეტად საეჭვო ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში, ხოლო კუშნირმა და რანიკუმ ყაიმით დაამთავრეს პარტიები დმიტრიევასთან და როოტარესთან. ამრიგად, საქართველოს წარმომადგენელმა კიდევ უფრო განმტკიცა მდგომარეობა ოქროს მედლისათვის ბრძოლაში.

ამ დღეს წარმატება ხვდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელს კაკაბაძეს. მან დაამარცხა სკეგინა. ზვორიკინამ მოუგო კაზმინას, კაზოვსკაიამ — იგნატიევას. ვოლპერტ-ბელაევენკოსა და კინტოროვიჩ-ბორისენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო.

უკანასკნელი ტურის წინ რანიკუს 12 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, კუშნირს — 12 ქულა, ჩაიკოვსკაიას 11,5 ქულა და 3 გადადებული პარტია.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ოლიმპიადა — ბაკურიანი

კაუნასი, 11 დეკემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). პირველი, ვისაც მოსკოვ-კაუნასის მატარებელში შევხვდით, იყო მხარბეჭიანი კაცი, რომელსაც უჩვეულო სამკერდე ნიშანი ეკეთა. ლურჯი დედამიწის სფეროს ფონზე ოქროს შტანგა, ქვემოთ კი წარწერა: „ჩემპიონი“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე გატაცებულ კოლექციონერსაც კი ჯერ ჯერობით არა აქვს ასეთი სამკერდე ნიშანები. ასეთი ნიშანი ხომ სულ 14 ცალია. 1962 წლიდან მას აძლევენ ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად. ჩვენი თანამგზავრი კი აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონი, უბადალი ინჟინერი **ა. კურინოვი.**

ეს შემთხვევითი შეხვედრა როდი იყო. იმავე მატარებლით მგზავრობდა ჩემპიონის ბეგი „კოლეგა“, ვინაიდან ძველ კაუნასში, სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, გამოცხადებული იყო გოლიათთა დიდი შეკრება — ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობა ძალოსნობაში.

გოლიათების შეკრება კაუნასში

იგი დღეს დაიწყო. ხუთი დღის განმავლობაში ფიცარნაგზე გამოვა საზოგადოებათა და უწყებათა 25 გუნდის 200-ზე მეტი წარმომადგენელი.

მონაწილეთა თვით ჩამოთვლაც კი უურადღებას იპყრობს — **ვ. კალნუნოვი, რ. ბლაუფელდერი, ვ. ბუშუევი, ე. კაცურა, ვ. ბელიაევი, ე. ბროვკო.** გამოდის ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენთა პლეადაც.

შეჯიბრება გახსნეს უმჩატესი წონის ოლეტებმა, სვერდლოვსკელ არმიელს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს **ვ. სმეტანინს** აშკარად გაეღიმა ბედმა. მან სამჭიდში 302,5 კილოგრამი მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

გუშინ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალოსნები განაგრძობდნენ პაექრობას სსრკ გუნდურ პირველობაზე. ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვემსუბუქი წონის შტანგისტები. ამ წონიის კატეგორიაში უძლიერესი აღმოჩნდა მოსკოველი ე. კაცურა, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 360 კილოგრამი.

რ. ხოლმოვი ერთპიროვნული ლიდერი

გუშინ ლენინგრადში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მე-12 ტური ჭადრაკში.

ხოლმოვმა დაამარცხა ნეი, ბრონშტეინმა — ბონდარევსკი, შტეინმა—ოსნოსი. სპასკი-გიპსლისის, ბაგიროვ-კორჩნოისა და გუფელდ-გელერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა ხოლმოვი, რომელსაც 8 ქულა აქვს. სპასკის, გელერსა და შტეინს 7,5 ქულა აქვთ თვითეულს.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

„ოლიმპიკური ტორტი“

დინამოელები — კუბის სტუმრები

როგორც ცნობილია ჩვენი ქვეყნის რამდენიმე საკლუბო გუნდი, აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრები სტუმრად საზღვარგარეთ იმყოფებიან და სხვადასხვა ქვეყანაში აწყობენ საერთაშორისო შეხვედრებს ადგილობრივ ფეხბურთელებთან.

საზღვარგარეთ მყოფ საბჭოთა გუნდების რიცხვს კიდევ ერთი კოლექტივი შეემატა კიევის „დინამოს“ სახით, რომელიც გაძღოვრებულია მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებით.

კიევის დინამოელები გუშინ კუბაში ჩავიდნენ. აქ ისინი ადგილობრივ ფეხბურთელებთან გამართავენ საერთაშორისო მატჩებს. პირველი თამაში შედგება კვირას.

„ოლიმპიკური ტორტი“

„ოლიმპიკური ტორტი“ — ბაკურიანი

„ოლიმპიკური ტორტი“ — ბაკურიანი

„ოლიმპიკური ტორტი“ — ბაკურიანი